№1806 2015 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. „საქართველოს სპორტსმენთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №39 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სპორტსმენთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.გ“, „ბ.ბ“ და „ბ.დ“ ქვეპუნქტებისა და მე-10 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გამოუყოს 532 100 ლარი (ხუთას ოცდათორმეტი ათას ასი) ლარი, მათ შორის:

ა) 527 000 (ხუთას ოცდაშვიდი ათასი) ლარი – 2015 წელს ევროპის ერთა თასის მოპოვებისა და 2015 წელს რაგბის საერთაშორისო (World Rugby) და

ევროპის (Rugby Europe) ფედერაციების ეგიდით ჩატარებულ 6 (ექვსი) ოფიციალურ შეხვედრაში მოპოვებული გამარჯვებისათვის, თხუთმეტკაცა რაგბიში საქართველოს ვაჟთა ეროვნული ნაკრები გუნდის წევრების, მწვრთნელების, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალის წახალისების მიზნით;

ბ) 5 100 (ხუთი ათას ასი) ლარი – რაგბის ევროპის (Rugby Europe) ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ 1 (ერთი) ოფიციალურ შეხვედრაში მოპოვებული გამარჯვებისათვის, რაგბი 7-ში საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები გუნდის წევრების, მწვრთნელების, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალის წახალისების მიზნით.

2. ამ განკარგულებით გამოყოფილი თანხის ფარგლებში, თხუთმეტკაცა რაგბიში საქართველოს ვაჟთა და რაგბი 7-ში საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისთვის, მწვრთნელებისათვის, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალისათვის განსაზღვრული თანხები გადანაწილდეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის ა(ა)იპ – საქართველოს რაგბის კავშირის მიერ წარდგენილი წინადადების საფუძველზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**